გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

[illegible] დასაკვეთად და კერძო განცხადებანი დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართულ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

„ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

მევენახეობა

თხზულება თ. ლ. ე. ჯორჯაძისა, ფასი 60 კაპ.

იქვე ისყიდება თხზულება თ. ი. ჯავჭავაძისა, მეოთხე ტომი, ფასი 1 მან 60 კაპ. (5—3)

დოქტორი ს. ვაჩაძე

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—18)

მიხ. ალ.-ძე ნასიძე

იყვანს კვლავინდებურად ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლის პირველ კლასებისათვის მოსამზადებლად.

ადრესი: ვარანცოვის ვიწრო ქუჩა, ძეგლის პირდაპირ, სახლი ზომერისა, № 5. (10—7)


ტფილისი, 26 ნოემბერი

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ახალი ამბავი, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე წარუდგინა თხოვნა ჭირნახულისა და ვენახების სეტყვისაგან დაზღვევის საზოგადოების დაარსების შესახებ ტფილისში. მსურველნი დაზღვევისა იმდენნი აღმოჩენილან, რომ მათის დასაზღვევ მამულების საზღაური 200,000 მანათამდე შემდგარა“.

მოგეხსენებათ, რა დიდს ზარალს აძლევს სეტყვა ჩვენს ქვეყანაში, და მეტადრე კახეთში, ვენახის პატრონებს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც იმედით სავსე მემამულე ის-ის არის უნდა შეუდგეს ვენახის დაკრეფას, ერთბაშად იგრიალებს სეტყვა და მთელის წლის მოსავლის განადგურებით ჰღუპავს ვენახის პატრონს და არა ერთხელ უკანასკნელს ლუკმა-პურსართმევს პირიდამ...

ამ გვარად დაზარალებულ მევენახეებს რომ შემწეობა მიეცეთ, დაღუპული მოსავალი ეზღოთ, რასაკვირველია, ჩვენს მეურნეს დიდი გაჭირვება და განსაცდელი ასცდებოდა თავიდამ. ასეთი აღდგენა ზარალისა ბევრნაირად გაუმაგრებდა ზურგს ვენახის პატრონს, ბევრნაირად გაჰმართავდა წელში. ზარალის გამო სასოწარკვეთილი მემამულე გულს აღარ გაიტეხდა მამულზედ, გულს აღარ აიცრუებდა ვენახის შემუშავებაზედ და კვლავ მხნედ განაგრძობდა მეურნეობას მამა-პაპურს ბინაზედ, რომელსაც ხშირად მოჰშლიან ხოლმე ზარალით იმედ-წართმეულნი და ღონე-მიხდილნი მემამულენი. მოჰშლიან ხოლმე ბინას და სხვაგან ეძებენ სახსარს ცხოვრებისას. სეტყვისაგან დამზღვევი საზოგადოება სწორედ იმიტომ არსებობს ყველგან, რომ ვინც-კი დაზარალდება სეტყვისაგან, იმას შეუძლიან მოსთხოვოს საზოგადოებას აღდგენა თავის ზარალისა, თუ, რასაკვირველია, დაზარალებულს მემამულეს დაზღვეული ჰქონდა სეტყვისაგან დაზარალებული მამული.

სეტყვისაგან დაზღვევა მამულებისა, აგერ თითქმის ერთი საუკუნეა, რაც ევროპაში შემოღებულია და ეს საქმე იქ, მეტადრე გერმანიაში, ძლიერ კარგად არის მოწყობილი და კარგადაც მიდის. უფრო დაწვრილებით შემდეგ მოგელაპარაკებით იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი ეს საქმე უცხოეთსა და რუსეთში. დღეს-კი ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ გაკვრით მოვიხსენიოთ, რა აზრი აქვს ჩვენის ქვეყნისათვის ზემოხსენებულს ცნობას და რა მიზეზებმა გამოიწვია ფიქრი და ზრუნვა მაგ საქმის მოწყობისათვის.

1877 წელს მოსკოვში პირველად დაარსდა ჯერ აქამომდე ერთად-ერთი საურთიერთო საზოგადოება ჭირნახულის დაზღვევისა სეტყვისაგან. თითქმის საზოგადოების დაარსებიდამვე გამგეობა მისი დიდად სცდილობდა გავრცელებინა როგორმე ჭირნახულისა და მეტადრე ვენახების დაზღვევის საქმე ჩვენშიაც. მე-40 მუხლის ძალით ამ საზოგადოებას ნება აქვს ვენახებისა და ბაღების დაზღვევისაც მხოლოდ მაშინ, როდესაც დასაზღვევ მამულების საზღაური 500,000 მანათამდე ავა. ზემოხსენებული მოსკოვის საზოგადოება ბარე სამჯერ-ოთხჯერ ეცადა მიემხრო და მიეზიდნა როგორმე ჩვენი მეურნენიც და უფრო-კი ჩვენი ვენახის პატრონები კახეთში, საცა ისე ხშირია ვენახებისა და ბაღების დაზარალება სეტყვისაგან. რამდენჯერაც მიჰმართეს ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას ზემოხსენებულ საქმის გამგეთ, პასუხად ვერა მიიღეს-რა. მოსკოვის „საზოგადოებამ“ მაინც ხმა ვერ მიაწვდინა ჩვენებურ მემამულეებამდე.

უნდა ვიცოდეთ, რომ „მოსკოვის საურთიერთო საზოგადოებას სეტყვისაგან დაზღვევისას“ თავის გამდიდრება-კი არა აქვს აზრად, არამედ დაზარალებულ მემამულეთა შემწეობა უნდა და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დღემდე ჯერ კიდევ იმედს არა ჰკარგავს, ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეს ჩვენშიაც მოაკიდებინოს ფეხი. სწორედ ამიტომ დანიშნა შარშან საქართველოში ზემოხსენებულის საზოგადოების აგენტი, რომელიც უხსნიდა ჩვენს მემამულეებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სეტყვისაგან დაზღვევას მამულ-დედულისას და საყოველთაოდ აცხადებდა, რომ, უკეთუ დასაზღვევ მამულების საზღაური 500.000 მანათამდე მიაღწევს, მხოლოდ მაშინ დაარსდება ტფილისში განსაკუთრებული განყოფილება საზოგადოებისა და ის განყოფილება მიიღებს დასაზღვევად თქვენს ვენახებსაო. აგენტი სიებსაც ადგენდა იმ მამულის პატრონებისას, ვინც-კი გამოუცხადებდა სურვილს ვენახის დაზღვევისას. როდესაც სიების შედგენა ასე თუ ისე დაბოლოვებულ იქმნა, აღმოჩნდა, რომ მამულების საზღაურმა 500.000 მანათამდე-კი არა, მარტო 200.000 მანათამდე მიაღწია. ახლა, როგორც სჩანს ამ წერილის სათაურშივე მოხსენებულ ამბიდამ, ეტყობა, მოსკოვის საურთიერთო საზოგადოება მამულებისა და ვენახების დაზღვევისა სეტყვისაგან, სცდილობს შესცვალოს მე-40 მუხლი წესდებისა იმ გვარად, რომ საზოგადოებას ნება ჰქონდეს ვენახების დაზღვევისა დღესვე, თუმცა დასაზღვევ მამულების საზღაური მარტო 200.000 მანათს შეადგენს და არა 500,000 მან. თუ თუ ეს ამბავი მართალია, სწორედ დიდად სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის. სასიამოვნო უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ჩვენში ბევრი არა იციან-რა ამისთანა სასარგებლო დაწესებულებისა და, უკეთუ ასეთი საზოგადოება უკვე დაიწყებს მოქმედებას, მაშინ ყველა თავის თვალით დაინახავს და დარწმუნდება, რა დიდი სიკეთე შეუძლიან მოუტანოს მან ჩვენ მეურნეობასა და ღვინის კეთებას.

ეოველივე ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ საფიქრებელი ის არის, რომ ვაი თუ ჩვენი მევენახენი, რომელნიც ამ ჟამად უფულობით ძრიელ გაჭირვებულნი არიან, მოერიდონ ვენახების დაზღვევას და ის 200.000 მანათის პრემიებიც, რომლის იმედით ახლა საზოგადოების გამგეობა აპირებს საქმის დაწყებას, ვერ შეიტანონ. ვინ იცის, იქნება ჩვენის დაუდევრობითა, უცოდინრობითა და გულ-გრილობით ჩვენის ხელითვე ჩავფუშოთ ის, ჩვენთვის დიდად სასარგებლო, საქმე, რომელსაც უნდა ახლა აიდგას ფეხი ჩვენში. ამისთანა სამწუხარო მედეგის ასაცილებლად ძრიელ კარგი იქნება, რომ იმ მამულის პატრონებმა, რომლის იმედითაც საზოგადოება სცდილობს საქმის დაწყებას, არ უმტყუნონ საზოგადოებას. საზოგადოების თხოვნა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე მარტო იმაზე არის დამყარებული, რომ ჩვენს ვენახის პატრონებს პატიოსანი სიტყვა მიუციათ: თუ დაარსდება ტფილისში ამ საზოგადოების განყოფილება, უეჭველად დავაზღვევებთ ჩვენს ვენახებს იმ ფასად, რა ფასადაც გვითქვამს და ფულსაც, იმდენს შემოვიტანთ, რამდენიც შე-

# ფელეტონი

## წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

მე შენთან დარბაისლურ საგნებზედ აღარ ვილაპარაკებ: სჩანს, რომ შენ, ოც-და-ათის წლის ვაჟკაცი, ჯერ ისევ თხუთმეტის წლის ბალანა ბძანებულხარ და იმიტომ ვარჩიე, და ბოლოს ის გამოვარჩიე, რომ „კლიაუზნიკობაზედ“ გელაპარაკო; „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსაო“ ნათქვამია და მართალიც არის, შენთვის სასარგებლო საუბარი ფუჭი კაკალი ყოფილა. ვიცი ამ კერძო წერილს შენ საქვეყნოდ გაჰფენ: აი, ჩემი მეგობარი როგორი ურცხვი, როგორი უზრდელი, როგორი უმეცარი ადამიანიაო; ვიცი არ დამზოგავ, იმიტომ რომ „კლიაუზნიკი“ ხარ, იმიტომ, რომ თითონა ხარ ურცხვი, უმეცარი და ამასთან ქარაფშუტა. არ ვიცი, რაღაც გაწუხებს, რაღაც ჭია ჩაგძრომია გულ-ღვიძლში, არ გასვენებს, გინდა ჩემი დამცრობა, ჩემი მიწასთან გასწორება. არა ჰკითხულობ იმას, რომ მე შენი მეგობარი ვარ, შენი ერთგული, შენი კეთილის მოსურნე. არა ხარ კაი კაცი, არა. კაი კაცს, კაი ბიჭს, შენისთანა ქარაფშუტებს, შენსავით „დაუსტვინეს“ არ ეძახიან: კაი კაცი სრულიად სხვაფრივ სჯრის და ჰკეთავს, ის სულ სხვაა, შენ სულ სხვა ხარ, უმეცარი ქარაფშუტა. კაი კაცი განაღამც მეგობრის ავს არ იუბნებს და მის ავს არ გააბევრებს, არ გააჭირდიდებს, ზედ დაეფარება, კარგად გამოიყვანს; მტერსაც-კი არა ჰგმობს, იმასაც პატივის ცემით ეპყრობა. შენ-კი?ოო, ღმერთმა დამიფაროს, ჰროტავ, ჰროშავ, რაც ენაზე მოგადგება, არა ჰფიქრობ იმასა, „რა გამოვა რისაგან“. შენ, ჩემო ჯერ კიდევ მეგობარო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ან-კი რატომ არ შეიძლება, როცა ასეა, ნამდვილი ზნეობრივი ხოლერა ხარ. საცა შენი ფიქრი გაერევა და შენი ენა გაიკლაკნება გველივით, იქ ყველაფერი მოიშხამება, იქ ზნეობა მოიწამლება, მოკვდება...

შენ ვითომ დიდი კაცი ხარ, ჩინონიკი, დიდს ჯამაგირს იღებ? (შენს ჩინონიკობაში ლაყე კვერცხს არ მივცემ. რატომაო, მკითხავ, არა? იმიტომ, რომ შენმა „ჩ ნონიკობამ“ არავის რა არგო, რაც არ ავნო, რაც არ აზარალა. თუ მე „უჩინონიკობას“ მიკიჟინებ, და მეტყვი, შენ ვისღა რა არგეო, მე კიდევ იმას მოგახსენებ, რომ თუ არავის-რა ვარგე, არცა რა ვის ვავნე. შე კაი კაცო, დაგინებებია მამულ-დედულისათვის თავი, შენის სახლის ჭერში ყვავები იბუდებენ და ჩარგულხარ კანცელარიაში; ჰბღაჯნი რაღაც ქაღალდებს, წელ-მოხრილი, ყელ-მოხრილი; შენი მამულ-დედული-კი წაიღო ქარმა და წყალმა. სწყდები ნაწლევებში, მოჰქანცე ენა „კლიაუზნიკობაში“, სულ იმიტომ-კი, რომ ასძვრე მაღლა-მაღლა. ეჰ, დალმართ-უკუღმართ მისდიოდი შენ ნელა, გულში ცეცხლი არ გქონია და აბა რა გაგინელდებოდა. რისთვის, ვისთვის გინდა, ჩემო ექვთიმე, მაღლა-მაღლა რომ მიიზიდები, ვინ იცის, რა ოინებს, რა ხრიკებს არ ეწევი ამის გულისათვის?! მარტო შენის პირად სიამოვნებისთვის ხომ?! სხვა, აბა, რა გაწუხებს?! სდუმდი, სდუმდი სულითა და გულით კოტრო!..

სახარე ხბოს სასკოლეში შეეტყობაო, ტყუილად არ არის ნათქვამი. მეც იმავ თავითვე გატყობდი, რაც შვილი გამოხვიდოდი. ხომ გახსოვს, შენ რომ მასწავლებელს ეღიჯინებოდი და კატასავით შესჩერებოდი თვალებში: учитель, учитель! мнѣ пять слѣдуеть, ей Богу, поставьте пять, учитель! აი საღ ამოყო თავი შენმა „პიატერკებმა“ ძმობილო. კლასში ვეღარავის ჩაეხველებინა, შენ მაშინვე მასწავლებელთან გაჰრბოდი დასასმენად, აი ნაყოფი მისი. ვგებულობ მეც და ქვეყანაც. მასწავლებლებიც თავზე ხელს გისვამდნენ,

გვხვდებაო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არამც თუ უკან არ დაიხევენ ის ჩვენი ვენახის პატრონები, ვისაც სიტყვა მიუციათ აგენტისათვის, არამედ სხვასაც მიიმხრობენ და მით საძირკველს გაუმაგრებენ ახლად ფეხ-ასადგმელს და დიდად სასარგებლო დაწესებულებას.

ნიკ. კავკასიძე

## ახალი ამბავი

** 25 ნოემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის დილის მატარებლით გაემგზავრა სად. ხაშურს და იქიდგან აპასთუმანს კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი.

** 20 ნოემბერს კავკასიის ოლქის სასამართალოს დარბაზში წლიური კრება მოხდა კავკასიის იურისტების საზოგადოებისა. კრებაზედ წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ამ ჟამად საზოგადოების წევრთა რიცხვი 103 ყოფილა. კრებაზედ წარმოსთქვა სიტყვა საზოგადოების თავმჯდომარემ თ. ა. ბიკოვმა და ილაპარაკა 1892 წლის 20 მაისს დამტკიცებულ კანონის გამო რომელიც შეეხება მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის თავშესაფარების წეს წყობილების შეცვლას. ორატორმა სთქვა, რომ რუსეთის კანონმდებლობას უფრო სამართლიანად მიაჩნია ამისთანა მცირე წლოვანთა ზნე-ხასიათის გასწორება, ვიდრე დანაშაულისათვისს დასჯაო. საზოგადოების მმართველობის წევრებად კრებამ იგინივე აირჩია წელსაც, ვინც აქამდე იყო, ხაზინადარის ნ. პ. სმიტენის გარდა, რომელმაც უარი განაცხადა თავისს თანამდებობის ასრულებაზედ. ბ-ნ სმიტენის მოადგილედ აირჩიეს ნ. კ. სავიცკი.

** გუშინ-წინ, 25 ნოემბერს, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ქართულ-დრამატიულ საზოგადოების არტისტებმა, არტისტის კ. ყიფიანის მონაწილეობით, წარმოადგინეს 5 მოქმედებიანი დრამა „თამარ-ბატონიშვილი“—გად. კ. მესხის მიერ და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი: „ნება მიბოძეთ, ბატონო!“, გად. ივ. კერესელიძისმიერ. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. დრამაში ელიზბარის როლს კ. ყიფიანი თამაშობდა. ვოდევილში აბაშიძემ და გედევანოვმა ძლიერ ბევრი აცინეს თეატრში დამსწრე საზოგადოება.

** ტფილისის ქალაქის მოურავმა გადასცა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებას 49 ათასი მანათი. ეს ფული ბანკში უვადოდ არის შეტანილი $4^0/_0$-ით. სარგებლის მიღების უფლება მიენიჭა ქალაქის თვით-მმართველობას. როგორც ჩვენს მკითხველთ ეხსომებათ, ეს ფული განსვენებულმა იაკობ აბესალოვმა გადასდო მის სახელობაზედ დაარსებულ სტიპენდიებისთვის. თავნი ხელ-უხლებელი იქნება სახელმწიფო ბანკში და სარგებელი ყოველ წლივ მიეცემათ ბ-ნ აბესალომოვის სტიპენდიატებს.

** ჩვენ მივიღეთ სალიანიდამ მღვდელ ალექსანდრე ტატუნაშვილისაგან 3 მან. ბ-ნ თ. ჟორდანიას წიგნის დასაკვეთად. ამ ფულისა ვქონდა დღემდე 139 მან. შესდგა სულ 142 მან.

** ოზურგეთის ოლქის „ლესნიჩი“ ა. გ. არდასენოვი, რომელიც ოქტომბრის გასულს კავკავის სამხედრო გზაზედ დაშავდა, ეტლიდგან გადმოვარდნის დროს, ამ ჟამად ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ჩამოიყვანეს. თუმცა ბ-ნ არდასენოვს საშიში არა სჭირს-რა, მაგრამ მძიმედ ყოფილა დაშავებული და მკურნალთა აზრით კიდევ ერთი თთვე მოუნდება წამლობა.

** ქართლი (გორის მაზრა): მთელი შემოდგომა ისე გავიდა, რომ წვიმა არ მოსულა; გოლვამ შეაწუხა ხალხი და ფარცხვა ხნულებისა ძალიან დააგვიანა; სარწყავი ადგილები დაიფარცხა მხოლოდ; ურწყავის ხალხმა-კი უცადა, უცადა, და, რაკი წვიმამ დაიგვიანა, ხმელს ხნულში ჩაჰყარა თესლი და დაფარცხა, მაგრამ თესლი თითქმის სულ ფრინველმა წაიღო. ბევრგან უფარცხი დარჩნენ. ბოლოს თოვლიც გვეწვია და, სადაც-კი დასაფარცხი იყო, გაზაფხულამდის დარჩა. თუმცა უწვიმობამ ფარცხვა დააგვიანა, მაგრამ სამაგიეროდ გლეხ-კაცობამ, რომელიც წლევანდელმა სენმა ასე უკან დასწია, ბევრი სხვა საქმე გააკეთა, რომელიც ზაფხულში დარჩა გასაკეთებელი. ღვინის მოსავალი წელს ერთობ ზღვად გასკდა ყველგან ქართლში. ქვევრები არ ეყოთ, ბევრმა პირდაპირ საწნახელში დაამაჭრეს და სახელდახელოდ ამ გვარად დაყენებულ ღვინოს ჰხარჯავდნენ. სოფლად თუ ქალაქად გამუდმებული ლოთობა და ერთი ორონტრიალია: ჩხუბები, ერთმანეთის ჩხვა, დასახიჩრება და სხვა ამ გვარები. სამაგიეროდ სხვა ფრივ ჩვენი გორის მაზრა მოსვენებულია; არც ავაზაკობა, არც ძარცვა-გლეჯა, არც ქურდობა აღარ არის. ადრევ გაზეთებმა გვაცნობეს, რომ გორის მაზრაში ავაზაკები გაჩენილან და დასაჰერად ტფილისიდამ ბოქაული ლოლაძე გაჰგზავნესო. ეს ისეთი ტყუილია, როგორც ერთის კაცის ტყუილი: მტკვარზედ ჩაველ, დავუწრუწუნე, ორაგულები გამოვიდნენ, დავფხანე, ნაკმაზი დავუყარე და ისევ წყალში ჩავგზავნეო. რის ავაზაკები, რის ყაჩაღები!! გაგონითაც არავის გაგვიგონია.

** გორი: გორის ქალაქის გამგეობას გადუწყვეტია ერთი უცნაური რამ: დაედოს ხარჯი ვაგზალიდამ გორში გამოსატან სავაჭროს, ესე იგი: ურემზედ ორი შაური, დროგზედ—აბაზი; ვსთქვათ ვაჭარს ქალაქ ტფილისიდამ მოუვიდა ერთი ყუთი ჩაი; ამის გამოსატანს დროგი ახდევინებს ცალკე, ქალაქიც ცალკე ერთ აბაზსა. ქალაქში შემოსულს ურემზედ, შემორეკილს პირუტყვზედ, მეიდნებზედ და ქუჩებში დაყენებისათვის ახდევინებენ ფასსა, მაგრამ ის-კი არსად გაგვიგონია, რომ ვაჭარმა, რომელიც იხდის ქალაქის გამგეობის სასარგებლოდ ფულსა, ურმით და დროგით საქონლის გამოსატანში ფული მისცეს, ან მედროგემ და მეურმემ გადაიხადოს. შენი მტერი, გორის მცხოვრებლებს საქმე მოგვივა! სულ ჩვენის კისრიდამ ამოიღებენ ვაჭრები ამ გარდასახადსა. ნეტა ისიც არა ჰქმნან, რომ შემოსულს და გასულს ქალაქიდამ ხალხს გარდასახადი არ დაადონ! საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი! მაგრამ უფრო საკვირველ არიან საქმენი გორის ქალაქის გამგეობისანი!!

** მარტვილი (სენაკის მაზრა): აქ დიდად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. 19 ამ თთვისას, ღამის 11 საათზედ, ბოროტ-მოქმედთ ცეცხლი წაუკიდეს ჩვენს ორ-კლასიანს სამრევლო სკოლას. ბოროტ-მომქმედნი სკოლის შენობის სახურავზედ ასულიყვნენ და ზედ ნავთი დაესხათ. გაჩნდა თუ არა უცბად ცეცხლი, პირველად ღამის დარაჯებმა შეამჩნიეს და მთელს სოფელს შეატყობინეს ეს ამბავი და ხალხმა ცეცხლი ჩააქრო. ცეცხლის ჩაქრობის დროს დიდი სიმარჯვე გამოიჩინეს ა. ჯ—მ და ლ. კ—შვილმა: ესენი თავ-დაუზოგველად ცეცხლში ვარდებოდნენ.

ეს მესამეჯერაა, მგონი, რომ ჩვენში სასულიერო სასწავლებლის შენობა დაუწვავთ. ეს შვიდი წელიწადია, რაც ცეცხლით დაწვა გახშირდა ჩვენს მიდამოში. ჯერ ორჯელ სასულიერო სასწავლებლის შენობა დასწვეს, შემდეგ მღვდელ-მთავრის სახლი, რომელიც მარტვილის მონასტრის გალავანში იდგა. მერე ორჯელ ცეცხლი წაუკიდეს ჩვენს დაბა „ნოქალაქევს“. თუ რა მიზეზით ხდება ყველა ეს, ვინც ჩვენი შინაური ცხოვრების ამბავი იცის—ადვილად მიხვდება... მაგრამ ჩვენ რას უნდა გავხდეთ?!. ახლა ამ სკოლის დაწვამ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო მთელი სოფელი. წარმოიდგინეთ, ერთად-ერთი წყარო, საიდამაც მთელი ათი სოფლის ყმაწვილები სწავლის წყურვილს იკლავდა, ახლა ბოროტ-მოქმედობით უნდა მოგვესპოს. უნდა განახათ, რა საზარელ სურათს წარმოადგენდა, როცა მაღალ გორაზედ აშენებული სკოლის შენობა იწოდა და ირგვლივ შეგროვილი ხალხი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა ჰკიოდა და სტიროდა... ამბობენ, სახლი დაზღვეულიაო, მაგრამ ეს ღმერთმა უწყის!.. იმედია, ეხლა მაინც, ასეთ ბოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ სამართლიანსა და კანონიერს ღონეს იღონებენ...

** 12 ნოემბერს, თელავის მაზრის სოფ. რუისპირის მცხოვრები გლეხი ანდრია ჩხუბიანიშვილი, კარგად შეზარხოშებული, მიუხდა თავის სახლიკაცს აბრია ჩხუბიანიშვილის და ხანჯლით თავში დასჭრა. ჩხუბიანიშვილებს რაღაც მტრობა ჰქონიათ ერთმანეთში.

** ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბ-ნი სემიონოვი დეპეშით სწერს გაზეთ „Н. О.“-ს, რომ ის ამბავი, ვითომ ქუთაისის ფოსტის სალაროს ქვეშ ხვრელის გათხრის გამო ფოსტის ერთი დარაჯი შეიპყრეს, ტყუილია, მით უმეტესად, რომ, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ამ ხვრელის გათხრა გამოცდილ ქურდების საქმე უნდა იყოსო.

** უგანათლ. თავადის ნ. დ. მინგრელსკის მამულების (ქუთაისის გუბერნიაში) შემოსავალი შეკრულ იქმნა, რადგანაც ამ მამულებს სახელმწიფო ვალი აწევს. განზრახვა აქვთ, ამ მამულის ზოგიერთა ადგილები დაუთმონ გლეხებს და ნება მისცენ ადგილების ნაწილ-ნაწილად შესყიდვისა („Н. О.“).

** გაზეთ „Кавказъ“-ს დეპეშით ატყობინებენ ახალციხიდგან: სამის დღის საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლომ ორი კაცი გაამართლა და ოთხს სამუშაო როტაში გაგზავნა გადაუწყვიტა, მთავრობის წინააღმდეგობისათვის. სასამართლომ გადასწყვიტა: ბოქაულების: ტერ-გრიქუროვისა, ყორღანოვისა და აზარპეტოვის უკანონო საქციელი შეატყობინოს კავკასიის მთავარ-მართებელს.

** ამ დღეებში მოსკოვს დაბრუნდა კავკასიიდგან ჩაის ვაჭართა კ. და ს. პოპოვების ფირმის წარმომადგენელი კ. ს. პოპოვი, რომელიც ამიერ-კავკასიაში ჩამოვიდა ჩაის მოყვანისთვის საჭირო ადგილების დასათვალიერებლად. გაზეთი „М. В.“-ი იუწყება: ბ-ნი პოპოვი დარწმუნებულია, რომ კავკასიაში ძლიერ ადვილად შესაძლოა ჩაის მოყვანაო. პოპოვს უკვე უყიდნია ბათუმს ახლო რამდენიმე ადგილი ჩაის მოსაყვანად და ამ საქმისათვის განზრახვა აქვს ჩინეთიდგან ამ ხელობის რამდენიმე მცოდნე კაცი მოიყვანოს ბათუმში.

** ამ თთვის 26 მეოთხე ნაწილის პოლიციელმა შეიპყრო ზეინალ მირზა-ოღლი და სიღნაღის მცხოვრებელი გეურქ მჭედლიშვილი, რომელთაც სადღაც ხალიჩები მოეპარათ და მიჰქონდათ.

### კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811 წ.)

**იოანე** (ოქროპირი) 1070—1072 წწ.*) მელქისედეკის საბერძნეთში უკანასკნელ მოგზაურობის დროს ესე იოანე განაგებდა საკათალიკოზო საყდარსა. „გარდაიცვალა წმიდა ესე (მელქისედეკი) და აწ წარუმართონ ღმერთმან ოქროპირს, მელქისედეკისაგან შვილად გაზრდილსა. დაჯდა კათალიკოზ-პატრიარქად ოქროპირი. ამანაც მრავალნი შემატნა დიდსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა და აღაშენა დასავლის კუთხესა სამხრით ეკვდერი ქვითა წმინდითა და თეთრად შვენიერად გამოქანდაკებულითა... და სხვაც შესავალნი, რაც იყვნეს, მოახსენა ბაგრატ კურაპალატსა და კვირიკე კახთ მეფესა, ძის წულსა კვირიკე მეფისასა, და შეუვალად გაუხადნეს და მისცა სიმტკიცე შეუვალობისა. წმიდამან ამან კათალიკოზ-პატრიარქმან ოქროპირმან მრა-

*) იხ. „ივერია“, № 234.

---

„მალადეცს“ გეუბნებოდნენ და შენც ლაცა გოჭივით ნელ-ნელა გაირყვენ, გაგიმრუდდა გული და ტვინიც თანა. მარტო სიმდიდრე იშოვე, მაგისთვის მე პატივს მაინც არა გცემ, რადგან მე რუსების ფსიხოლოგის ვლადისლავლევის თანამოაზრე არ გახლავარ, რომ რამდენადაც მდიდარია კაცი, იმდენად ჩემს თვალში პატივსაცემი იყოს. მე გულსა ვცემ პატივს და ტვინს, სალს ტვინს, ნაყოფიერს, ჯიბის თაყვანისცემა ღმერთსა და კაცს შენთვის დაულოცნია, მეც გილოცავ გზას: „მშვიდობით წადი, ჯვარი გეწეროს!.“

—

როგორც იცით, მკითხველო, ჩემი მეგობარი, ცოტად-კი არა, ბევრად მოუსვენარი ადამიანია, ენა ჭარტალა და მასთან „კლეუზნი“, ჩემი წერილი მიუვა თუ არა, ჯერ ჩემს ნაცნობებს ჩამოუვლის სათითაოდ და ყველას წაუკითხავს; რაც თავის თავზეა, იმას კიდეც ამოჰფხეკს, ამის შნო და უნარიცა აქვს, და მერე შეიძლება გაზეთშიაც გააქნოს გამოსაცხადებლად. გაზეთი სხვად არაფრად ეჭაშნიკება ექვთიმეს, მარტო ჭორებისთვის, დაეძებს ჭორს გამგელებით და უნდა ჰნახოთ, როგორ მაღლა-მაღლა ხტის, როგორ სიამოვნობს, როცა გაჭორილს და გაჯორილს ვისმე შეჰხვდება. დიაღ, ამ ჩემს წერილს გაზეთში გამოაცხადებს, ნახევარს ამოჰფხეკს. რომ ეს მარცხი ავიცილო ვფთხილობ და ამასთანავე წინა-პირველად წერილს ჩემს მეგობარ ექვთიმესთან ჯერ მე ვგზავნი გაზეთში და ასლს წერილისას შემდეგ იმას გავუგზავნი...

—

ესე ჩემო ექვთიმე, ვიცი გეწყინება; იტყვი: ცილს რადა მწამებ, რად უნდა ამოვფხიკო, წერილის გახაიბრება, გაჯაღადირება რა პატიოსნებააო, მაგრამ არა, მე მაინც ვერ გენდობი, გული დამწვი, წინადაც ჩაიდინე ესეთი საქმე. ბევრჯელ დასწვი, დასდაგე ჩემი წერილი, უსვი დანა და ცული და ისეთი ჰბეჭდე გაზეთში. აი-კი რა მრჯოდა, შენთვის წერილები არ მეწერა: ცერცვს კედელზედ რა დააყენებს; ჩემი წერილები შენ რას გაგწურთნიან, სადაც სწავლა-მეცნიერებამ ვერ გაგწურთნა. განა არ ვიცი რომ, თუ უკაცრავოდ არა ვარ ამ სიტყვაზედ, შენ, მდაბიოდ რომ ვსთქვათ, ქურდი ხარ და, ღრმად რომ ვსთქვათ, ხელ-მრუდი. შენ რომ შეგირდობაში ამხანაგებს ყუთებს გვიმტვრევდი და საცოდაობით ნაშოვნ გროშებს გვპარავდი შენის ავის მუცლის კამფეტების გულისათვის, ეხლაც ისევ ის არ იქნებოდი? საცა ყველა სხვა ზნე შეგრჩა, მაშინდელ ხელ-მრუდობას რაღას მოიკვეთდი?! ჩვენ, ამხანაგებს გვეზოგებოდი, გვებრალებოდი, არ გაბეზღებდით და კურსი დაგამთავრებინეთ. ხომ გაგონდება, ჩემო ექვთიმე?! ახლა ისიც ხომ გახსოვს, კურსის დამთავრების დროს საკლასო გამოცდანა რომ მოგვცეს, შენ ოჩანი ცხენივით დასდევ, ხოლო თვალებს კატასავით აქეთ-იქით აცეცებდი, სულს მოკლედ იქცევდი, პირზედ ოფლს გასხამდა და ეხვეწებოდი ამხანაგებს: ვირჩვები წყალში და მიშველეთო; ამხანაგებმა გიშველეს, ქაღალდის ნაკუწზედ ჩუმად მოგაწოდეს გამოცანის ახსნა და დაგიხსნეს დასაკარგავად დამზადებული კაცი. ჩვენი ამაანაგობა მაშინ პატარა ქვეყანას შეადგენდა, ის ქვეყანა შენა გპატრონობდა და შენ-კი იმის მოღალატე იყავი, შენ ამ ქვეყანას ამაგს არ უფასებდი; დღესაც ისევ ისეთი უვარგისი ხარ შენის ქვეყნისათვის, რომელმაც გაგზარდა და ძუძუ გაწოვა. იფიქრე, შეისანე ცოდვები, ჩემო, გზა-კვალ არეულო, მეგობარო ექვთიმე. ნუ იღუპები, თუ გწამს ღმერთი, თუ გწამს მაცხოვარი, ქვეყნისთვის წამებული, თუ გწამს რამ კიდევ ქვეყანაზედ,—ადამიანი ხარ, ადამიანად იყავი.

შენი ერთგული მამუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალნი ეკკლესიანი აღაშენა და განახლნა"... ასრე მოგვითხრობს მემატიანე—ქ.-ცხ. 222 გვ. იოანეს მამა გიორგი დიდხანს იყო უშვილო და შიომღვიმეში მლოცველს სიზმრად გამოეცხადა—შვილიერი იქმნებიო; მალე დაებადა ესე იოანე და იქვე შიომღვიმეში მონათლეს ელია მღვიმის (წინამძღვრის) ჟამსა (900—1002) და შესწირეს ღმერთსა; პატარაობითვე აღზარდა მელქისედეკ კათოლიკოზმა. ბერძულიდამ სთარგმნა მან „წინამძღვარი" ათანასი პატრიარქისა და წიგნი გრიგოლ ნაზიანზელისა (იხ. წყობ. სიტყვაობა, 208 გვ.) იერუსალიმში, გოლგოთის მონასტერს მისრული მცხეთელი მღვდელი სტეფანე პალავრელი დაუწესებიათ მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქრომპირისა" (იხ. „Сванетія" ბაქრ. 93—94 გვ.). აქვე უყიდნია სტეფანეს 1048 წ. აღწერილი ლაშთხვერის სახარება. სოფ. ფოკაში ამა იოანეს დროს აღშენდა თოფურავანის ტბის მახლობლად მშვენიერი ტაძარი („ივერია" 1890 წ., № 240).

პ. ცხვილოელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Сѣв. Вѣст"-ში დაბეჭდილია გამოჩენილის მხატვარის ქალის მარიამ ბაშკირცევის ფრანგულს ენაზედ დაწერილ დღიურის თარგმანი. ეს დღიური იმდენად შესანიშნავია, რომ მთელმა ევროპამ დიდი ყურადღება მიაქცია. მხცოვანი პრემიერი ინგლისის სამინისტროსი გლადსტონი ამბობს, რომ „მარიამ ბაშკირცევის დღიური ერთი შესანიშნავთაგანი წიგნია ჩვენის საუკუნისაო".

მარიამ კონსტანტინეს ასული ბაშკირცევისა დაიბადა 1860 წელს ქ. პოლტავას ახლო. მამა ძლიერ მდიდარი ჰყავდა და არაფერს არა ჰზოგავდა პატარა მარიამის სწავლა-განათლებისთვის. 1877 წლიდგან მარიამ ბაშკირცევისა სწავლობდა პარიჟის სამხატვრო აკადემიაში და 1880 წლიდგან გამოჰფინა პარიჟის „სალონში" რამდენიმე თავის მიერ დახატული სურათი, რომლებსაც მთელმა პარიჟმა დიდი ყურადღება მიაქცია. და ერთი სურათი „მიტინგი 1884 წლის გამოფენის დროს" ხომ ისე მოეწონათ, რომ მხატვარ ქალს დიდი ქება დიდება უძღვნეს და ამბობდნენ, ქვეყანას კიდევ ერთი ნიჭიერი მხატვარი გამოუჩნდაო. მაგრამ მარტო მხატვრობით არ იყო გამოჩენილი მარიამ ბაშკირცევისა. სულ 24 წლისა გარდაიცვალა და შესანიშნავი წიგნაკი დასტოვა: „ჩემი დღიური". ეს დღიური სხვა ამ გვარ დღიურებიდგან ძლიერ განირჩევა სიმართლითა და ჭეშმარიტებით. რუსსოს განთქმული წიგნი „აღსარება" ისეთის ჭეშმარიტებითა და სიმართლით არ არის გამსჭვალული, როგორც ბაშკირცევის „დღიური". რუსეთის პოეტმა ლერმონტოვმა სთქვა: „ერთის ადამიანის სულის ისტორია, მგონია, ნაკლებად არ უნდა იყოს შესანიშნავი, ვიდრე ისტორია მთელის ერისაო". ბაშკირცევის დღიურის შესახებ ამბობენ: „დიდი ხანია კაცობრიობა მოელოდდა ისეთს წიგნს, რომელშიაც აწერილი ყოფილიყო ერთის ადამიანის ჭეშმარიტი და უტყუარი ისტორია. ეს წიგნი პირველად დაწერა მარიამ ბაშკირცევისამ"-ო. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს მოვიყვანთ ამ დღიურიდგან.

წაიკითხეთ, ბატონებო, ჩემი დღიური და ჭკუა ისწავლეთ! ეს დღიური უფრო საყურადღებო და საგულისხმიეროა, ვიდრე ყოველ გვარი წიგნი, რომელიც აქამდე დაწერილა, ან ამას იქით დაიწერება (ეს სიტყვები დაწერილია, როცა ბაშკირცევ სულ ყმაწვილი იყო, 13-14 წლისა და ამიტომ სიამაყეს ვერ ვუკიჟინებთ). ამ წიგნში აწერილია ერთის დედაკაცის ჭკუა-გონება, მისი იმედები, შეცდომანი, სისუსტე, მშვენიერება, სიხარული და ტანჯვა-ვაება. მე ჯერ სრული დედაკაცი არა ვარ, მაგრამ მალე გადვიქცევი სრულ დედაკაცად. თქვენ შეიძლებთ, მთელს ჩემს სიცოცხლეს ადევნოთ თვალი, სიყრმიდგან სიკვდილამდე. ადამიანის სიცოცხლე-კი უტყუარად და სიმართლით აწერილი, ფრიად საყურადღებო და ღირს შესანიშნავია..

იმ დროს, როცა ჩემი თავი დიდებულ ადამიანად მიმაჩნია, არასფერს აღარ ვაძლევ მნიშვნელობას, ჩემი ღირსი არაფერი არა მგონია და მთელს ქვეყანას სიამაყით დავსცქერი...

თუმცა ხშირად ჭმუნვა და მწუხარეხარება გულს მიხუთავს, მაგრამ სიცოცხლეს მაინც არ ვსწყევლი, პირ იქით მე სიცოცხლე მიყვარს და ვეტრფი. დაიჯერებთ? მე ყოველის ფერი სასიამოვნოდ მიმაჩნია ამ ქვეყნად: ცრემლიცა და ტანჯვა-მწუხარებაც-კი. მე მიყვარს ტირილი, სასოწარკვეთილება, მიყვარს სულის კვეთება, ჭმუნვარება, ტანჯვა-ვაება. ყველა ეს მართობს, მასიამოვნებს და, მგონია, სწორედ ამიტომ მიყვარს სიცოცხლე. დიდი უსამართლობა იქნება, რომ ვინმემ ეს სიცოცხლე წამართვას...

ვსტირი, ვგლოვობ, ვჩივი ხოლმე, მაგრამ ყველა ეს მომწონს კიდეც, მასიამოვნებს... არა, ეს არ უნდა მეთქვა... ერთის სიყვით ამ ქვეყნად ყველაფერი მომწონს, ყველაფერი მასიამოვნებს. მე იმდენად მსურს ბედნიერება და სიცოცხლე, რომ თვით უბედურებაც-კი ბედნიერებად მიმაჩნია...

კი არ გეგონოთ, რომ ცრემლი სიხარულს მირჩევნოდეს, არა... როცა მწუხარება და დარდი გულს მომაწვება, ვგრძნობ, რომ უბედური ვარ, მაგრამ იმდენად მიყვარს სიცოცხლე, რომ თვით ეს მწუხარებაც-კი ბედნიერება მგონია...

მე რომ ბურბონის პრინცესად დავბადებულიყავ, ჩემ ნათესავთა და მეგობრებად რომ დიდებულნი მეფენი ყოფილიყვნენ, მოსამსახურეთ გრაფები მყოლოდა, სიყრმიდგანვე რომ გარშემო პატივის ცემა და თაყვანება მენახა, ჩემი წინაპარნი რომ ერთი მეორეზედ განთქმულნი გმირები ყოფილიყვნენ, მაშინაც არ ვიქნებოდი ისე ამაყი და მედიდური, ვიღრე ეხლა ვარ...

რა იქნება ამ ქვეყნად ისე საზიზღარი, როგორიც არის კაცობრიობა... ამ ქვეყნად, რაც ადამიანს არ აწუხებს და არ ადარდებს—სულ სისულელეა, და რაც-კი სისულელე არ არის,—ყველა ეს მოსაწყენი და სადარდელია...

რაც გინდათ სთქვით, ადამიანის სული კერპთმსახურობას მოითხოვს...

მარტო გონების თვალით წარმოდგენა ღვთის დიდებისა ადამიანის სულს არ აკმაყოფილებს...

**სამწუხაროდ გაზეთის ადგილი ნებას არ გვაძლევს მოვიყვანონ კიდევ ბევრი სხვა მარიამ ბაშკირცევის მიერ წარმოთქმული აზრი ადამიანის სულისა და გრძნობის შესახებ.**

## უცხოეთი

**შეერთებული შტატები.** საფრანგეთს აწუხებს პანამის საქმე, რომლის გამო, როგორც ვსთქვით, მოსალოდნელია თვით პალატაც დაითხოვონ, გერმანიას—სამხედრო კანონ-პროექტი, ჯერ არ გასინჯული, მაგრამ უკვე დაწუნებული ერისა და რეიხსტაგისაგან, ავსტრი-ვენგრიას—ერნი, რომელნიც განზე იწევენ და ამერიკის შეერთებულ შტატებს — მუშათა საქმე. მუშათა საქმე ევროპასაც არა ნაკლებ აწუხებს, ოღონდ აქ ხშირად ამისთანა საგანზედ არის ხოლმე სჯა, რომ მუშა იძულებულია, ყური ათხოვოს და ეცადოს, რაცა აქვს, ისიც არ წაართვან; ამას გარდა, ევროპიელ მუშას ბევრი სხვა საქმე გაართობს ხოლმე და დროებით მაინც ივიწყებს თავის გაჭირვებულ ყოფა-ცხოვრებას. სულ სხვაა ამერიკელი მუშა—ის მტკიცედ ადგას თავის პროგრამმას და პირდაპირ თავის სასურველს ეტანება, არც გადუხვევს საითკენმე, არც შესდგება. ახალ ორლეანში, მაგ., მუშათა საზოგადოებაში არიან ყოველ-გვარი ხელოსნები, მოსამსახურენი და თვით ფოსტის მდაბიო მოხელენიც-კი. სულ ერთად 23 ამქარია. ამ თთვის დამდეგს ამ საზოგადოებამ—ყველა ამქრებმა საქმეს თავი დაანებეს და შემდეგი პირობანი დაუდვეს ქალაქს: დღიური შრომა შემცირდეს, დღიური ფასი მუშისა მომატებულ იქმნას და მთელს ქალაქში მუშაობის ნება არავის ჰქონდეს, თუ ჩვენს საზოგადოებაში ჩაწერილი არ არისო. პირველი ორი პირობა, დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც იკისრა ქალაქმა, და ახლა საქმე მესამე პირობის მიღებაზედ არის. ორ ცეცხლშუაა ქალაქი: ამ პირობაზედ არ დაჰყვება, უმუშოდ რჩება და საზოგადოება მუშებისა საკმარისად მდიდარია, რომ ქედი არ მოიდრიკოს დაზარალებულ საქმეთა პატრონების წინაშე; დასთანხმდება კიდევ, აუსრულებს მესამე პირობასაც—და ეგ ის იქნება, რომ თითონ ქალაქი გაამრავლებს იმ რაზმს, რომელმაც, შესაძლოა, ერთხელაც იქნება ბოლო მოუღოს ესრედ წოდებულს კაპიტალიზმს.

**იტალია.** იტალიას არა აქვს ისეთი განვითარებული მრეწველობა, რომ მუშათა საქმეს აქაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ხალხი უფრო მიწად-მოქმედებას მისდევს და, სიმინდის ფქვილი-კი ჰქონდეს სამყოფი, მოხარშული პოლენტი, თორემ სხვა არა უნდა-რა. მაგრამ აქაც არის ცოტაოდენი სრულიად უადგილ-მამულო, უსახლკარო, ბოგანო მუშა-ხალხი, რომელიც ბავშობიდგან ბეჩავს, ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში, დინამიტს არის მიჩვეული და ამიტომ საშიშია სახელმწიფოს მყუდროებისათვის. მრეწველობა დაცემული, ხალხი, მხვნელ-მთესველი ხალხი სრულიად უღონოდ, სახელმწიფო ხაზინა—ცარიელი—აი რა ყოფაშია აწინდელი იტალია. ეს ცხადად დაამტკიცა კრისპიმ თავის უკანასკნელ სიტყვით. კრისპი წინად მინისტრთა თავმჯდომარედ იყო და თავის სიცოცხლეში რამდენჯერმე უცვლია ტყავი და შეხედულებანი. ამ სიტყვაშიც უწინდელი მომხრე და ცხარე დამცველი სამთა კავშირისა, სრული წინააღმდეგია იმისი, რასაც წინად ისეთს ძლიერს მომხრეობას უწევდა. ჩვენი დღევანდელი გაჭირვება ამ კავშირის ბრალიაო, რადგან ხარჯით სხვაზედ მეტს ჩვენ ვხარჯავთ და სარგებლობა-კი არსად არის. წინანდელი მოწინააღმდეგე და მოსისხლე მტერი საფრანგეთისა, დღეს ამ ქვეყანაში-და ეძებს იტალიის ხსნას და ამ ქვეყანასთან მეგობრულ დამოკიდებულებას ურჩევს თავის სამშობლოს.

**ავსტრი-ვენგრია.** სამთა კავშირმა არც ავსტრი ვენგრიას შესძინა რამე. სხვა ბევრი მიზეზია ამ სახელმწიფოს გაჭირვებისა, მაგრამ ერთ დიდ მიზეზად ეს კავშირიც უნდა ჩაითვალოს. სადამდის დასუსტებულია დღეს ამ სახელმწიფოს მთავრობის ძალა, რამდენად მოახლოვებულია ამ ქვეყნის სხვა-და-სხვა ერთა განთავისუფლების დღე, ამას წინად ჩეხებმა დაამტკიცეს, როდესაც ისეთის გაბედვით და დაურიდებლად შიგ პალატაში მოითხოვეს—ჩვენ ჩვენი თავისუფალი სახელმწიფო გვინდაო. ესევე დაამტკიცეს ახლა კიდევ პოლონელებმაც. ქალაქი ახალ-სანჩი თავის ექვს-ასის წლის არსებობას დღესასწაულობდა და ამ საამო გარემოების გამო ქალაქში, პოლონელების ბაირაღების გარდა, სხვა არავისი ბაირაღი არა სჩანდა. სახელმწიფო ბაირაღი და სახელმწიფო გერბიც-კი ჩამოიღეს და მათ ადგილას პოლონიური ბაირაღები ამართეს და გერბის ალაგს პოლონიურივე თეთრი არწივი გამოჰფინეს. დრო არის პოლონელებს ბოლო მოვუღოთო, იძახიან ამის გამო ავსტრიელი გერმანელები, მაგრამ აქ საკითხავი აი რა არის: ავსტრია მოუღებს ბოლოს პოლონელებს, ჩეხებს, და ავსტრი-ვენგრიის სხვა ერთა, თუ ეს ერნი მოუღებენ უმალ ბოლოს ავსტრი-ვენგრიის მონარქიას.

## წვრილი ამბავი

„Centralblatt Vur Socialpolitik"-ს საინტერესო ცნობანი მოჰყავს ამერიკის ერთ ქალაქ ბროკტონის შესახებ, რომლის მცხოვრებთ მარტოდ-მარტო ხარაზები შეადგენენ თურმე. ეს ქალაქი მასსაჩუსეტის შტატშია და 30,000 მცხოვრები ასხია. ყველაზედ უფრო საყურადღებო ამ ქალაქში ის არის, რომ საზოგადო დაწესებულებათა განათლება-მეცნიერებისა და სწავლა აღზრდის გასავრცელებლად თვით ხელოსნები ზრუნავენ. დიდი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელშიაც 20,000 ტომია, ღია ყველასთვის; აგრეთვე მსურველთ სახლშიაც ატანენ უფასოდ წიგნებს. აქავე გამართული დიდი და კრებლი სამკითხველო, სადაც ყოველ ქვეყნის გაზეთებსა, საენციკლოპედიო ლექსიკონებს, საუკეთესო ჟურნალებს ევროპისას და ამერიკისას და აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნებს იღებენ და ამ წიგნებს ყოველ წამს მკითხველნი ერთმანეთს ეცილებიან. მშვენიერად მორთული და დიდი თეატრი მუშების მეცადინეობით სულდგმულობს. განსაკუთრებით დიდი სააქციონერო საზოგადოებაა გამართული, რომელიც რამდენსამე ათასს თავისს წევრთ დაზღვევის სხვა-და-სხვა გვარ ფორმებს წარუდგენს ხოლმე. ესევე საზოგადოება სხვა-და-სხვა დროს გასართობელ და სალხინო წარმოდგენებს უმართავს თავისს წევრთ. ამ საზოგადოებასა აქვს დიდი დარბაზი ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსი. საზოგადოებას კრებაზედ ჰკითხულობენ მოხსენებათა და დროარის ხოლმე გიმნასტიკისა, მუსიკისა, ლიტერატურისა და სხვა საგნების გაკვეთილები.

— ბავარიის პრინც-რეგენტის-ლეოპოლდის ძამ პრინცესა ტერეზიამ მწერლობაში მოღვაწეობისათვის მიიღო მიუნხენის სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრის წოდება.

— გაზეთ «Standard»-ის კორესპონდენტი იუწყება შანხაიდგან, რომ აქ მხოლოდ 30 ოქტომბერს შეიტყვეს დაწვრილებით პროვინციას შენ-სი-ში დაპატიმრებულ მისიონერების ამბავი. ისინი მთავრობას-კი არ შეუპყრია, არამედ ადგილობრივ სარწმუნოების ფანატიკებს, რომელთაც უნდოდათ, რომ ფრანცისკანელ მისიონერების ეპისკოპოსი ქვებით ჩაექოლათ, მაგრამ დროზედ მთავრობას გამოსარჩლებამ დაიხსნა სიკვდილისაგან ეს მისიონერები.

— მთელი ლონდონი ბურუს-ღრუბლებით არის ხოლმე მოცული. წვიმა ძლიერ ხშირად იცის და ამიტომ ლონდონის მცხოვრები სახლიდგან უქოლგოდ არ გამოვა, რომ ხელში წვიმის ქოლგა არ ეჭიროს. ამას წინედ ლონდონის ერთ ქუჩაზედ მიდიოდა ერთი ქალი, ლიუდოვიკა სკვეირი და ხელში ქოლგა ეჭირა; ქალს უცებ მივარდა დიდი ძაღლი, ხელიდგან ქოლგა გამოსტაცა და მოჰკურცხლა. პოლიციელი მაშინვე დაედევნა უკან ძაღლს და დაიჭირა სწორედ იმ დროს, როცა ძაღლმა ერთ მეთევზესთან მიირბინა. მეთევზემ უარი სთქვა—ძაღლი ჩემი არ არისო. პოლიციელმა მეთევზეს ურემი გაუჩხრიკა და აღმოჩნდა, რომ ურემში ბლომად ელაგა ქოლგები. მაშინ-კი გამოტყდა მეთევზე, რომ ეს ძაღლი ჩემია, ისე მყავს გაწვრთნილი, რომ გამვლელ-გამომვლელს ქოლგებსა სტაცებს და ჩემთან მოაქვსო. მეთევზე და ქურდი ძაღლი დააპატიმრეს. ძაღლის პატრონს ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტეს და ძაღლი-კი... ჩამოახრჩვეს თურმე. (?)

— ნიუიორკიდამ დეპეშით გვაცნობებენ, რომ ჩილის შეთქმულობა აღმოუჩენიათ მთავრობის წინააღმდეგ. შვიდ პოლკოვნიკს განეზრახათ ძალად გარდაეყენებინათ ეხლანდელი მთავრობა და მართვა-გამგეობა ქვეყნისა ბალმაჩედის მომხრეებისათვის გადაეცათ. მეთაური და აჯანყების წინამძღოლნი დაუპატიმრებიათ.

— კატონიდგან დეპეშით იწერებიან, რომ სამადნო მაღაროებში მუშაობის დროს ცეცხლი გაჩნდა და 100-მდე მუშა კვამლსა და ცეცხლში ჩაიხრჩო.

— ამას წინედ პარიჟში ერთი არაჩვეულებრივი საქმე გაარჩია სასამართლომ. ერთი სახლის მდგმური უჩიოდა კარის კაცს, რომ ეს კაცი ჩემზე ცუდ სახელის შეურაცხმყოფ ხმებს ავრცელებდა და კერძო ჩემი ცხოვრების ამბებს აშკარავებდა საზოგადოებაშიო. ამიტომ ამისთანავე ცილისწამებას ვაბრალებთო. სასამართლომ [illegible] კარის-კაცს 25 ფრანკი ჯარიმა და 500-იც სასამართლოსა და საქმის საწარმოებლად ჯარიმა გადაუწყვიტა და მასთან მომჩივანს დაავალა, იმ შემთხვევაში თუ კარის-კაცმა ვერ შეიძლოს აღნიშნულ ჯარიმისა და სასამართლოს ხარჯის გადახდა, მაშინ თითონ შენ უნდა გადიხადო ეს ფული შენის მოსამსახურის მაგიერადაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ვთხოვთ რედაქციას, მისცეს ადგილი ამ ჩვენ წერილს. მმართველობა საგარეჯოს საჯარო ბიბლიოთეკისა გულითადს მადლობას უძღვნის: ნ. ი. აკალიშვილს, რომელმაც შესწირა ორი წიგნად მშვე-

ნიერს უდებში ნომრები ჟურნალ „მნათობისა“ და სამი ცალი სხვა ქართული წიგნი მშვენიერისავე უდებით; ან. ს. ღულაძეს შემოწირვისთვის ორ წიგნად მშვენიერისავე უდებით ჟურნალ „ნობათის“ ნომრებისა 1884 და 1885 წლებისა და ხუთის ცალის „ლომკაცისა“, მშვენიერ უდებითვე. „მეურნეს“ რედაქციას გამოგზავნისთვის 1891 წ. და 1892 წ. ნომრებისა და აგრეთვე რავდენიმე ცალობით თავის გამოცემული წიგნებისა. აგრეთვე ბ-ნ ნ. ოქ—შვილს გამოგზავნისთვის თავის ანდაზების ლოტოსი.

მმართველნი { ზ. გულისაშვილი, ნ. ბაზიეროვი.

# დეპეშა

26 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „Нов. Вр.“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს ნება დაურთავს, ხარჯთ-აკრების ინსპექტორთა რიცხვი 1 იანვრიდგან კიდევ 74 მიემატოს და 1 მაისიდგან 37. განზრახვა აქვთ იმ გუბერნიებში, სადაც ერობაა დაწესებული, თითო მაზრაში თითო ინსპექტორი დანიშნონ.

„Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრო უკვე შესდგომია გლეხებისაგან ხარჯთ-მოკრების ვადისა და წეს-რიგის შეცვლის საქმის განხილვას.

**პარიჟი.** კარნო თავმჯდომარეობდა ახალ მინისტრთა კრებაზედ და ხელი მოაწერა დეკრეტს ახალის კაბინეტის შესახებ; სამინისტროს დეკლარაციიდგანა სჩანს, რომ ახალს სამინისტროს განუზრახავს განსაზღვროს კანონმდებლობის უფლებანი სამოსამართლო უფლებისაგან და ამასთანავე ეცდება მშვიდობიანობის გზას დაადგეს.

პანამის საქმის გამომძიებელი კომისია კვლავ ართმევს ჩვენებას ამ საქმის შესახებ სხვა-და-სხვა მოწმეთ.

**ვაშინგტონი.** წლიური ეპისტოლე პრეზიდენტ გარრისონისა კონგრესის მიმართ ამბობს, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდს კეთილდღეობას მიაღწიესო. გარრისონის აზრით ახალის საბაჟო პოლიტიკის გამო მექარხნეთა და მუშათათვის გაჭირვების დრო დადგება. თუ არავითარი შედეგი მოჰყვა იმ კონფერენციას, რომელსაც საგნად აქვს ფულის საქმის განწესიერება, ვაჭრობის ვითარება აიძულებს სახელმწიფოებს მოურიგდნენ შეერთებულს შტატებს და უზრუნველ-ჰყონ საკმაო რაოდენობა მოჭრილის ფულისა, რომელიც საჭიროა მსოფლიო ვაჭრობისათვის. შეერთებულმა შტატებმა უნდა მიიღონ ღონისძიება, რომ ოქრო ბლომად არ გადავიდეს ევროპიელთა ხელში.

**ვენა.** კობურგის პრინცმა სთხოვა პაპს, ნება მიბოძე იტალიის უწინდელ სამეფო გვარის ერთი პრინცესა შევირთოვო. პაპმა მისწერა, ნებას მოგცემ მხოლოდ იმ პირობით, თუ შენი შვილები კათოლიკებად იქმნებიან აღზრდილნიო. გაზეთები ამბობენ, რომ თუ ეს ამბავი მართალია, პრინც კობურგელის საცოლო უნდა იყოს ავსტრიის იმპერატორების შთამომავალ ტოსკანელ მეფეთა ქალი, ანუ ქალი ორთავე სიცილიაში მეფედ მყოფ ბურბონთა გვარისაო, უფრო საფიქრებელია, რომ იგი უნდა იყოს ქალი გრაფ კაზერტისა, რომელიც ამ ჟამად სცხოვრობს კანაშიო.

**სოფია.** აქაურმა გერმანიის მთავარმა კონსულმა, რომელსაც მინდობილი აქვს აგრეთვე დაცვა რუსეთის ინტერესებისაცა, გუშინ მიიღო ქაღალდი, გაახსენე ბოლგარიის მთავრობას, გადაიხადოს ხარჯი ოკუპაციისაო. ეს ხარჯი დარჩენილია გადაუხდელი 1890 წლიდამ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 8,08 | 8,11 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 161 1/2 | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 241 1/4 |
| მეორისა | 221 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | 102 | — ,, | — ,, |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 102 | — ,, | — ,, |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/2 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | |
| მე-3 „ „ „ | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 6 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. | | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | | „ |

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ გამგეობის დარბაზში ამა 1892 წლის 11 დეკემბერს დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ალექსანდრეს ბაღში საფარდულე ადგილების იჯარით გასაცემად, ეს ადგილები ამ ჟამად იჯარით აღებული აქვს აკოფოვს და იქ ისყიდება ლიმონადი, მუშხუნა წყალი, რძე, კუმისი და კეფირი. ეს ადგილები იჯარით გაიცემა 3 წლის ვადით, 1893 წლის 1 იანვრიდგან 1896 წლის 1 იანვრამდე. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1892 წლის 10 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის აგარაკ კუკიის იჯარით გაცემისა, სივრცით 888 დესიატინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, საძოვარი, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილი 3 წლის ვადით, 1893 წლის 1 იანვრიდგან 1896 წლის 1 იანვრამდე. პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე ქალაქის გამგეობის კანცელარიაში, დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. (3—2)

გამოვიდა და ისყიდება
1893 წლის
# კალენდარი
შედგენილი
სომხიშვილი ყანაოზის-მიერ
და
გამოცემული
ლიზა მარჯანოვისა.
(2—2)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა ოქროსი

# ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფოტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული. ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეიგამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—48)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით | . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით | . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, | . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, | . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, | . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, | . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, | . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო წვრილ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უგანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეეს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკის სახლებში, № 21.

Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Ноября 1892 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე,